

## შეიძლება თუ არა არსებობდეს ერი სახელმწიფოს გარეშე?

### თამარ გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი  
მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

მეცნიერები და პოლიტიკოსები უკვე ათწლეულებია კამათობენ იმაზე, არსებობს თუ არა ერი სახელმწიფოს გარეშე. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებრიობა ერისთვის უმნიშვნელოვანესი და გადაამწყვეტი ატრიბუტია, ხოლო მეორე ნაწილს რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გააჩნია. აღნიშნულ დისკუსიაში მე „მოდერნისტების“ მხარეს ვარ, შესაბამისად, შევეცდები დავამტკიცო, რომ ერი სახელმწიფოს გარეშე არ არსებებს.

პირველ რიგში, განვმარტოთ თუ რა არის ერი, რადგან არც ამ საკითხზე არსებობს ერთიანი მოსაზრება. ცნობილი მეცნიერის ენტონი დ. სმიტის მიხედვით, ერში მოიაზრება ის ხალხი, რომელთაც აქვთ საერთო ეთნონიმი, მითები, მასობრივი კულტურა, ერთიანი ტერიტორია, საერთო უფლება-მოვალეობები და საერთო ეკონომიკა.<sup>1</sup> სმიტის მიერ გამოყოფილი 7 ნიშნიდან პირველი სამი მახასიათებელი (საერთო ეთნონიმი, საერთო მითები და საერთო ისტორია) ეთნოსსაც გააჩნია. სწორედ დანარჩენი ოთხი ელემენტი განაპირობებს ეთნოსის გარდაქმნას ერად. საერთო მასკულტურა, ტერიტორიის ფლობა, საერთო უფლებები და მოვალეობები და საერთო ეკონომიკა ის მახასიათებლებია, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოებრიობის პირობებში გვევლინება.

ზემოთ თქმული მოსაზრების განსამტკიცებლად, მოვიშველიებ ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის მიხაკო წერეთლის სიტყვებს: “ხალხი ინდივიდების უბრალო გაერთიანებაა, ანუ, ის წარმოადგენს მასალას ერის ფორმირებისთვის”.<sup>2</sup> მიხაკო წერეთლისთვის ქართველი ხალხი ერს არ წარმოადგენდა მაშინ, როცა ქვეყანა სამთავროებად და სამეფოებად იყო დაყოფილი. “ერის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ერთიანი სივრცის ცნება, სადაც სახეზეა კარგად

<sup>1</sup> გოგსაძე გიორგი. „სივრცე პოლიტიკა იდენტობა“. სახელმძღვანელო/სასწავლო კურსი. გვ.41

<sup>2</sup> წერეთელი მიხაკო. „ერი და კაცობრიობა“. 12 იანვარი, 2011.

<http://archive.pktv.ge/index.php?page=articles&article=455&lang=geo>

ორგანიზებული სოციალური ურთიერთობები, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს არსებობის პირობებშია შესაძლებელი”.<sup>3</sup>

ამერიკის შეერთებული შტატები თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ აყალიბებს სახელმწიფო ერს. აშშ-ის ტერიტორია წარმოგვიდგა ფაქტორად, რომელმაც იქ მცხოვრები ათეულობით ეთნოსი ერთ ერად ჩამოაყალიბა და აქცია “ამერიკელებად”. დღესდღეობით ისინი არიან ამერიკის შეერთებული შტატების სრულფასოვანი მოქალაქეები, რამეთუ იზიარებენ მის მასობრივ კულტურას, მის მითებსა და ისტორიას, ექვემდებარებიან იქაურ კანონმდებლობას და ჩართულნი არიან იქაურ ეკონომიკაში. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ისინი არა მარტო ტერიტორიულ, არამედ ღირებულებათა ერთობაზე დაფუძნებული ერია.

ჟოზეფ ერნესტ რენანი, ფრანგი ფილოლოგი, მწერალი და ისტორიკოსი, შემდეგნაირად განმარტავს ერის ცნებას: "ერი არის დიდი სოლიდარობა. მის საფუძველშია წმინდა გრძნობები გაღებული მსხვერპლისა წარსულში და იმ მსხვერპლისა, რომელსაც მომავალში გაიღებს. ერი გულისხმობს გმირულ წარსულს, ერთიან ნებას აწმყოში და მოქმედების საერთო პროგრამას მომავალში. ერის არსებობა არის ყოველდღიური პლემბისციტი".<sup>4</sup> მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსაზრება არ არის მეცნიერული ფაქტი, მაინც ცხადად შეიძლება დავინახოთ, რომ შეუძლებელია ადამიანთა ერთობას ჰქონდეს ერთიანი ნება, ყოველდღიური პლემბისციტი ან მოქმედების საერთო პროგრამა, თუ ეს ადამიანები არ ცხოვრობენ საერთო სახელმწიფოში.

ევროპის მრავალეთნიკური ქვეყნების მაგალითზეც აშკარად იკვეთება ის ფაქტი, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ერის ფორმირება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი ძალიან მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობას ფლობს. ამის კარგი მაგალითია ბელგია, რომლის მოსახლეობა ორი ეთნიკური ჯგუფითაა წარმოდგენილი. ესენია ვალონები და ფლამანდიელები. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ არსებობს ვალონი ან ფლამანდიელი ერი. არც ერთი მათთაგანი არ ფლობს დამოუკიდებლობის იმ ხარისხს, რომ შეძლონ გადაწყვეტილებების მიღება საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში. გარდა ამისა, მათ არ აქვთ უფლება განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელსაც მხოლოდ სუვერენული სახელმწიფო და ერი ახორციელებს.

---

<sup>3</sup> Ibid.

<sup>4</sup> Renan Ernest. "What is nation?" August 27, 2011. <http://www.nationalismproject.org/what/renan.htm>

რა თქმა უნდა, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ, კერძოდ ის, რომ ერი სახელმწიფოს გარეშე არსებობს. ისინი, პირველ რიგში, ებრაელების მაგალითს დაასახელებენ, რაც სავსებით ლოგიკური იქნება. ებრაელები მინიმუმ ორი ათასწლეულის მანძილზე ცხოვრობდნენ დიასპორაში, მაგრამ შეინარჩუნეს საერთო ენა, რელიგია და კულტურა. სამშობლოში დაბრუნების სურვილიც საკმაოდ ძლიერი გამაერთიანებელი ფაქტორი იყო. თუმცა, მე მაინც მჯერა, რომ 1948 წლამდე ებრაელები ეთნოსს წარმოადგენდნენ. ამ აზრის განსამტკიცებლად გამოდგება ჯეიმს ფირონის მიერ კლასიფიცირებული ეთნოსის 6 ნიშანი:<sup>5</sup>

- 1) ეთნოსი შედგება საერთო ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებისაგან
- 2) გათვითცნობიერებული აქვთ ჯგუფის წევრობა
- 3) აერთიანებთ საერთო კულტურა
- 4) ეს კულტურა ყველა წევრისთვის არის უმნიშვნელოვანესი ღირებულება
- 5) აქვთ საერთო სამშობლო ან მითი სამშობლოზე
- 6) აქვთ საერთო ისტორია

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი ექვსივე მაჩვენებელი აბსოლუტურად შეესაბამება ებრაელ ხალხს იმ პერიოდში, როდესაც ისინი დიასპორაში ცხოვრობდნენ. ის, რომ მათ საერთო სამშობლოს რწმენა ჰქონდათ, სულაც არ აყალიბებდა მათ ერად. მხოლოდ და მხოლოდ, 1948 წელს ჩამოყალიბდნენ ისინი ერად, რადგანაც სწორედ ამ დროიდან აქვთ მათ ეროვნული ავტონომია და სუვერენიტეტი. იმ წლიდან შექმნეს საერთო ეკონომიკა, დაემორჩილნენ საერთო უფლებებს და მოვალეობებს. მანამდე კი ისინი ემორჩილებოდნენ იმ კანონმდებლობას, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობდნენ, იქნებოდა ეს პოლონეთი, გერმანია, რუსეთი თუ სხვა.

ასევე შესაძლებელია ჩემს მოსაზრებას შემოედაონ ადამიანები, რომლებიც ქურთებს მიიჩნევენ ერად და მოიყვანონ "ქურთისტანის" მაგალითი. თუმცა, ძალიან ბევრი მეცნიერი ქურთებს ერად არ მიიჩნევს და მე მათ აბსოლუტურად ვეთანხმები. შევეცდები დავასაბუთო თუ რატომ.

პირველ რიგში, "ქურთისტანი" როგორც სახელმწიფო ჯერ კიდევ ძალიან შორეული ოცნებაა. გარდა ამისა, ხალხი, რომელიც 4 ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობს (ირანი, ერაყი, სირია, თურქეთი) და სხვადასხვა კანონმდებლობას ემორჩილება, ვერ იქნება ერი. ესეც რომ არ იყოს, მათში არ არის ერთიანობის ის ხარისხი, რომელიც ეთნოსს სჭირდება, სულ რომ არაფერი ვთქვათ ერზე. ქურთები იმდენად დაყოფილები არიან და იმდენად აქტიურად ცდილობენ დამოუკიდებლობის მოპოვებას თითოეული ქვეყნის ტერიტორიაზე, რომ ეს ფაქტი კიდევ უფრო ახანგრძლივებს მათ

---

<sup>5</sup> გოგსაძე გიორგი, Op.cit. გვ.40

ერად ჩამოყალიბებას. და ბოლოს, ვფიქრობ, ქურთების შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ენობრივი საკითხი. ისინი საუბრობენ ორ განსხვავებულ ენაზე, რაც კიდევ უფრო ართულებს იმის დადგენას, თუ რა არის მათი ღირებულებითი სისტემა. ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ერი სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს, დასავლური მიდგომაა, რასაც კარგად ხსნის ინგლისური ენა. დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებულად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერი და სახელმწიფო ხშირად ერთი სიტყვით აღინიშნება - nation. ამაზე საკმაოდ დიდი კამათია და მეცნიერთა ნაწილი არასწორად მიიჩნევს ერის სახელმწიფოსთან გაიგივებას, რადგან, მაგალითად, კატალონიელები და ბასკები სულაც არ აღიქვამენ თავს ესპანეთის ნაწილად. ისინი საკუთარ თავს ერებად მიიჩნევენ. თუმცა, აქვე მინდა ვთქვა, რომ მხოლოდ თვითიდენტიფიკაცია არავის არ აქცევს არც ერად და არც ეთნოსად, აუცილებელია ურთიერთიდენტიფიკაციაც.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ხალხი, რომელსაც არ გააჩნია სუვერენიტეტი, ვერ ჩამოყალიბდება ერად. თავად სუვერენიტეტის ცნება ხომ თავის თავში დამოუკიდებელ სახელმწიფოს გულისხმობს. ჩემი პოზიციის დასაბუთებისას მთლიანად ვდგავარ მოდერნისტების მხარეს, რომელთათვისაც ერიც და სახელმწიფოც თანამედროვე ფენომენებია. ენტონი დ. სმიტის ზემოთ ნახსენები კლასიფიკაციაც ამის დადასტურებაა. საერთო ეკონომიკის ცნება მაშინ გაჩნდა, როდესაც ხალხი საერთო ტერიტორიის ფლობას იწყებს, ტერიტორიის ფლობა კი ვესტფალიის ზავის შედეგია. სწორედ ამის შემდეგ ჩამოუყალიბდა ხალხს საერთო უფლება-მოვალეობების შესრულების შეგრძნება, რაც ვერ მოხდებოდა საერთო ტერიტორიის გარეშე. რაც შეეხება საერთო კანონმდებლობას, ეს ცალსახად აისახება თითოეული ქვეყნის კონსტიტუციაში.

მიმაჩნია, რომ საერთო ტერიტორიის გარეშე შეუძლებელია ხალხს ეწოდოს ერი, რადგან მათ არ მიეცემათ საშუალება განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელსაც მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფო ფლობს. სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხს, თუნდაც ისინი საერთო ეთნიკური წარმომავლობისანი იყვნენ, ვერ ექნება ერთიანობის ის განცდა, რაც ერს სჭირდება. მათ შეიძლება ჰქონდეს მაღალი ხარისხის კულტურული სოლიდარობა, თუმცა ვერ ექნებათ პოლიტიკური სოლიდარობა, რის საშუალებასაც მხოლოდ ერთი ტერიტორიის შიგნით ცხოვრება იძლევა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ებრაელი ერი, რომელთაც დიასპორაში ცხოვრებისას კულტურული სოლიდარობა აერთიანებდათ, თუმცა პოლიტიკური სოლიდარობა უბრალოდ შეუძლებელი იყო. მიმაჩნია, რომ სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ერი ვერასდროს იქნება, თუნდაც

უამრავი გამაერთიანებელი ფაქტორის მიუხედავად. მათ აუცილებლად სჭირდებათ  
საერთო ტერიტორია.